ვსწავლობ ჩვენს სარწმუნოებას

# მარხვა მიყვარს



გამომცემლობა
თიმაში ბავშვები

muslimgeorgia

# მარხვა მიყვარს




მწერალი:
ომერ ბალდიკ

მხატვარი:
აჰმეთ ქესგინ





გამომცემელი:
ოსმან ოქჩუ







გამომცემლობის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირ

დიზაინი:
ქენან ოზჯან

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები


კეთილი იყოს
შენი მობრძანება
რამადან



კეთილი იყოს შენი
მობრძანება რამადან
რამადანი მოვიდა.
კეთილი იყოს მისი
მობრძანება.
სახლებში
მხიარულება შემოვიდა.
მათთვის, ვინც
მარხულობს,
სამოთხის მახარობელი
მოვიდა.

muslim georgia


რამადანის
ლექსები

გამარჯობა,
მე მქვია ელიფი. ელიფის მსგავსად
მართალი რომ ვიყო, ამიტომ
დამარქვეს მშობლებმა ეს სახელი.

დღეს ვმარხულობ. აქამდეც რამდენიმე
დღე ვმარხულობდი. თუმცა, ამ წელს
პირველად ვიმარხებ მთელი თვის
განმავლობაში. დღეს პირველი დღეა.
ვიმედოვნებ, რომ ბოლომდე მოვითმენ.




რამადანის
ლექსები

დედა სულ მიხსნის თუ
რამდენად მნიშვნელოვანი
ღვთისმსახურებაა მარხვა.
ბაბუამაც ამიხსნა.

უკვე ყველაფერი ვიცი.
შემიძლია თქვენც
აგიხსნათ. რა თქმა უნდა
იფთარის (მარხვისას
პირის გახსნის დრო) დროის
მოსვლამდე. ცოტა ხანში
დედას სუფრის გაწყობაში
უნდა მივეხმარო.





რამადანის თვემდე ორი ლამაზი თვის გავლით მივდივართ. ერთ-ერთი მათგანი რეჯებია, მეორე კი შაბანი.

ამ სამ თვეს, ანუ რეჯებს, შაბანსა და რამადანს "სამთვეული" ეწოდება. წლის ყველაზე მადლიანი თვეებია.

რამადანისთვის მზადებას ჯერ კიდევ რეჯების თვეში ვიწყებთ. ჩვენი საყვარელი შუამავალიც ამ თვეებში ხშირად მარხულობდა და ღვთისმსახურებას მოუხშირებდა.





muslimgeorgia

ჩვენთვის წმინდა, ძვირფასი ღამეებიც ამ თვეებშია თავმოყრილი. ყველა ვისწავლე:

რეჯების თვის პირველ პარასკევ ღამეს რეგაიბის ღამეა, ოცდამეშვიდე ღამე კი მირაჯის  ღამე. შაბანის თვის მეთხუთმეტე ღამეც ბერათის ღამეა.

ჩვენი შუამავალი რომ ამბობდა: "ათას თვეზე უკეთესიაო" ანუ ქადირის ღამე, რამადანის თვის ოცდამეშვიდე ღამესაა.







რამადანის თვეში მარხვა, ისლამის 5 პირობიდან ერთ-ერთია. მუსლიმები, მსოფლიოს ყველა კუთხეში, რამადანის თვეში მარხულობენ.



ჩვენი ფეიღამბერი ერთ-ერთ ჰადისში ამბობს: "ყველა მორწმუნე ერთმანეთის ძმაა." მარხვის დროს ჩვენც გულით ვგრძნობთ, რომ ყველა მორწმუნე ერთმანეთისთვის და-ძმა ვართ. ამ შეგრძნებით აღვნიშნავთ რამადანის თვის ბოლოს ბაირამს (დღესასწაულს).





მამა ყოველთვის ამბობს, რომ მოუთმენელი ვარ. თუ რამეს მოვისურვებ, მინდა მაშინვე აქდეს. სურვილები როდესაც არ მიხდება, აუცანელ გოგოდ ვიქცევი.



მარხვა მოთმინებას გვასწავლის თურმე. ამას ჩვენი შუამავალი ამბობს. ვფიქრობ, რომ რამადანის თვის ბოლომდე შეუსვენებლად თუ ვიმარხებ, მოთმინებასაც ვისწავლი.





მარხვისას არა მხოლოდ
მოთმინებას, არამედ
მადლობის გადახდასაც
ვსწავლობთ თურმე. ამას
ვხვდებით. რაღაცისთვის
მადლობა რომ გადავიხადოთ,
მისი ფასი უნდა ვიცოდეთ.

აი თუნდაც, რაც უფრო
გვწყურია, უფრო მეტად
ვხვდებით წყლის ფასს.
სანამ არ მოგვშივდება,
მანამ ვერ ვხვდებით
საჭმლის ფასს.

მარხვისას
საჭმლის გემოს
უკეთ ვგრძნობთ და
ალლაჰს მადლობას
ვუხდით, ჩვენთვის
რომ გააჩინა.




რამადანის
ლექსები

შიმშილისას ალბათ საკუთარი თავის უკეთ გაცნობის საშუალება გვეძლევა. სინამდვილეში ვხვდებით რა სუსტი და უძლურია ჩვენი სხეული. ვხვდებით, რომ ეს ხანმოკლე ცხოვრება ფუჭად არ უნდა გავიყვანოთ.

რა თქმა უნდა ამ ქვეყანაზე ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად სერიოზული სამზადისია საჭირო. სამწუხაროდ, ადამიანს თუ არ უჭირს ასეთ რამეებზე ვერ ფიქრობს.





ამასთან ერთად, შიმშილისას ვხვდებით გაჭირვებულები რას გრძნობენ.

მშივრების, მწყურვალებისა და უპატრონოების მდგომარეობის გასაგებად, ჩვენც იგივე გრძნობები უნდა გამოვცადოთ. აი მაშინ გვსურს მთელი გულით გაჭირვებულებს დავეხმაროთ და მოწყალება გავიღოთ.



ისლამის სხვა პირობის მიხედვით, მდიდრები გაჭირვებულებს ზექათს, ანუ სავალდებულო მოწყალებას აძლევენ, რომელიც ქონების ერთი მეორმოცედითაა განსაზღვრული.



muslimgeorgia

რამადანის თვეში ალლაჰთან დასაახლოვებლად, ღვთისმსახურებას ვუმატებთ.

თერავიჰ ნამაზს მხოლოდ რამადანის თვეში ვლოცულობთ. ეს ნამაზი 20 მუხლისგან შედგება. მუსლიმები ამ ნამაზის სალოცავად ღამით მეჩეთებს ავსებენ.

ერთხელ დედამ მეც წამიყვანა. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან სახალისო იყო.





ალლაჰი თავის მორჩილების
მიმართ ამ თვეებში უფრო
ხელგაშლილი და მიმტევებელია.

რამადანის თვეში წაკითხული
ყურანის ყოველ ასოზე უამრავ
მადლს ვიგებთ. ყადრის ღამეს
კი ეს მადლი ისე იზრდება, რომ
დათვლა შეუძლებელია.

ალლაჰი ამ ღამეს უსაზღვრო
შემწეობის ყველა კარს გვიხსნის.





muslimgeorgia
muslim international charity foundation GEORGIA

არიან ადამიანები,
რომლებიც
ავადმყოფობის გამო
ვერ მარხულობენ.
ალლაჰი მათ
ნებას აძლევს მაშინ
იმარხონ, როდესაც
გამოჯანმრთელდებიან და არა
რამადანის თვეში.





ჯანმრთელი ადამიანებისთვის
კი მარხვა ძალიან
სასარგებლოა. ჩვენი კუჭი და
სხვა ორგანოები არდადეგებზე
გადიან, ისვენებენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს კუჭს
ეს არდადეგები ესაჭიროება.
არაჯანსაღი საჭმლებით
ძალიან ვღლი.



muslimgeorgia

დედა ხშირად მახსენებს , რომ მარხვა მხოლოდ უჭმელობას არ ნიშნავს.

ცუდ სიტყვებს თუ არ ვიტყვით, ამით ენას, ცუდ რამეს თუ არ შევხედავთ, ამით თვალებსაც ვამარხულებთ.

ჩვენი ყველა ქცევით ვაჩვენებთ გაშემომყოფებს, რომ მარხული ვართ.



muslim georgia
muslim GEORGIA international charity foundation





აი დედაც მეძახის.
კარგი იქნება, ცოტას
თუ წავეხმარები.
სხვაგვარად იფიქრებს,
რომ მე ისევ პატარა
გოგო ვარ.

დედამ ჩემი ყველაზე
საყვარელი საჭმელები
მოამზადა. მალე მამაც
ცხელი ორცხობილათი
მოვა. ყველა ერთად
დავსხდებით და
ვივახშმებთ.



ბოლოს მინდა თქვენთვის იფთარის ვედრება წაგიკითხო. ახლახანს დავიზეპირე. რამადანის განმავლობაში წავიკითხავ. მშობლები კი "აამიინ" იტყვიან. ვედრება ასეა:

ღმერთო! შენი კმაყოფილებისთვის ვიმარხულე.
შენ გიწამე. შენ მოგეკედლე.
შენს მიერ ბოძებული სარჩოთი მარხვას ვასრულებ.
მადლიერი ვარ შენი წყალობის.
ჯანმრთელობის და სარჩოსი.

შენ ყოვლად მიმტევებელი ხარ, ღმერთო.
მე, დედა, მამა,
ჩემი ოჯახი, ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა
და მთელი კაცობრიობა დაიფარე, ღმერთო!

ნუ მოაკლებ შენს წყალობას ჩემს ქვეყანას.
მოგვმადლე სიცოცხლის ხალისი.
მოგვეც ძალა გავუძლოთ ყოველგვარ სიძნელეებს.
შენ ყოვლისშემძლე ხარ. აამინ!

ყველას სასიამოვნო
იფთარს გისურვებთ!

